

# მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

აგვისტო, 2019



## შინაარსი

მთლიანი შიდა პროდუქტი .....	4
ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში.....	5
ეკონომიკური ზრდის რისკები .....	
ფასების დონე.....	5
კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში .....	5
საგარეო ვაჭრობა .....	7
ტურიზმი .....	7
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები .....	9
ფულადი გზავნილები.....	10
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი .....	11
საკრედიტო რეიტინგები.....	11
საბანკო სექტორი .....	12
ლარიზაცია .....	14
უმუშევრობის დონე.....	15
სიღარიბის მაჩვენებლები .....	16
საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა .....	
საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში.....	16

	2014	2015	2016	2017	2018
<b>რეალური სექტორი</b>					
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	29,150.5	31,755.6	34,028.5	37,846.6	41,077.5
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. დოლარი)	16,507.8	13,988.1	14,377.9	15,086.5	16,207.1
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	4.6%	2.9%	2.8%	4.8%	4.7%
მშპ ერთ სულზე (ლარი)	7,837.4	8,524.3	9,129.0	10,152.0	11,013.9
მშპ ერთ სულზე (დოლარი)	4,438.3	3,754.9	3,857.3	4,046.8	4,345.5
ინვესტიციები (% მშპ)	29.8%	31.5%	32.7%	32.4%	33.3%
დანაზოგები (% მშპ)	20.0%	20.4%	19.8%	23.5%	25.6%
<b>მონეტარული სექტორი</b>					
ინფლაცია (სამუშალოწლიური)	3.1%	4.0%	2.1%	6.0%	2.6%
ინფლაცია (წლის ბოლოს)	2.0%	4.9%	1.8%	6.7%	1.5%
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	4.0%	8.0%	6.5%	7.25%	6.5% <sup>1</sup>
<b>საგარეო სექტორი</b>					
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი (% მშპ)	43.0%	44.1%	43.3%	50.2%	55.1%
საქონლისა და მომსახურების იმპორტი (% მშპ)	61.0%	62.3%	59.3%	61.9%	66.6%
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (% მშპ)	10.8%	12.6%	13.1%	8.8%	7.7%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (% მშპ)	11.0%	11.9%	10.9%	12.5%	7.8%
<b>ფისკალური ბალანსი</b>					
ფისკალური ბალანსი (% მშპ) <sup>2</sup>		-2.7%	-3.0%	-2.9%	-2.5%
სახელმწიფო ვალი (% მშპ)	35.5%	41.4%	44.6%	44.6%	43.3%

<sup>1</sup> უახლესი მდგომარეობით


<sup>2</sup> სავალუტო ფონდთან შეთანხმებული მეთოდოლოგიის მიხედვით

## მთლიანი შიდა პროდუქტი

წინასწარი შეფასებით, 2019 წლის ივნისში ეკონომიკა 5.0 პროცენტით გაიზარდა. 2019 წლის ივნისში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა უძრავი ქონებით ოპერაციების, მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, დამამუშავებელი მრეწველობის, სასტუმროების და რესტორნების და ენერჯეტიკის სექტორებში. 2019 წლის იანვარ-ივნისში საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 4.9 პროცენტი შეადგინა.

2018 წლის საშუალო რეალურმა ზრდამ 4.7 პროცენტი შეადგინა. წინასწარი შეფასებით, ნომინალურმა მშპ-მ 2018 წელს 41,077.5 მილიარდი ლარი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე 11,013.9 ლარი შეადგინა.


## ეკონომიკური ზრდა



## ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია

2019 წლის პირველ კვარტალში კი ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორი წმინდა ექსპორტის ზრდა იყო და მისმა წვლილმა ეკონომიკურ ზრდაში 2.8 პ.პ შეადგინა.


2018 წელს ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი პოზიტიური წვლილი მოხმარებამ (წვლილი ეკონომიკურ ზრდაში 2.9 პპ) და ინვესტიციებმა (2.5 პპ) შეიტანა.



## ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველოს ექნება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ზრდა 2019-2024 წლებში რეგიონის ქვეყნებთან შედარებით და საშუალოდ 5.0 პროცენტს შეადგენს.

ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2019-2024 (IMF)



## ფასების დონე

2019 წლის ივლისში წლიური ინფლაციის დონემ 4.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით ფასების დონე მცირედით - 0.02 პროცენტით შემცირდა. ინფლაციის დონე თამბაქოს გამორიცხვით 3.9 პროცენტს შეადგენს.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის განაკვეთის ზრდამ, განაპირობა შესაბამისი პროდუქციის ფასების მკვეთრი მატება, რამაც თამბაქოს პროდუქციის მოხმარებაში გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები და გარკვეული ზეგავლენა იქონია ინფლაციის მაჩვენებელზე. შესაბამისად, ინფლაცია თამბაქოს გარეშე რეალურად ასახავს ქვეყანაში არსებულ ინფლაციურ პროცესებს, საგადასახადო სისტემაში ცვლილებების ეფექტის გარეშე.

2019 წლის 24 ივლისის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად (6.5 პროცენტზე) დატოვების შესახებ. პროგნოზის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, ინფლაცია მიმდინარე წელს მიზნობრივი დონის ზემოთ დარჩება, მომავალი წლის მარტიდან შემცირებას დაიწყებს, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს შენარჩუნდება.



## კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

ეკონომიკურ ზრდაში წარმმართველი როლი კერძო სექტორს უჭირავს. 2019 წლის პირველ კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 27.5%-ით, ხოლო გამოშვება 9.0%-ით გაიზარდა.

2019 წლის პირველ კვარტალში, ბიზნეს სექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობა 4.2%-ით - 26.8 ათასით გაიზარდა და 663.8 ათასი შეადგინა.

2018 წლის ოთხი კვარტლის მიხედვით ბიზნეს სექტორის ბრუნვა წინა წელთან შედარებით 19.5%-ით გაიზარდა და 85.5 მლრდ. ლარი შეადგინა, ხოლო ბიზნეს სექტორის გამოშვება 40.9 მლრდ. ლარს გაუტოლდა, რაც 10.5%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

ბიზნეს სექტორი, 2018



ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მცირე და საშუალო ბიზნესის ეკონომიკური აქტივობა.

2018 წლის ოთხი კვარტლის მონაცემების მიხედვით, მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ბიზნეს სექტორის მთლიან გამოშვებაში 59.1%-ს შეადგენს. 2010 წლიდან სტაბილურად იზრდება მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ბიზნეს სექტორის გამოშვებაში.

2018 წელს მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვება გაიზარდა 10.5 პროცენტით და მისმა წვლილმა ბიზნეს სექტორის გამოშვების ზრდაში 6.6 პროცენტული პუნქტი შეადგინა, ხოლო 2019 წლის პირველ კვარტალში მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვება 13.0 პროცენტით გაიზარდა.

## საგარეო ვაჭრობა


2019 წლის იანვარ-ივლისში ექსპორტი გაიზარდა 12.3 პროცენტით და 2 102.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 4.7 პროცენტით ნაკლებია წინა წლის იანვარ-ივლისის მაჩვენებელზე და 4 963.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. 2019 წელსაც ექსპორტის ზრდა ძირითადად რეალური ეფექტით იყო განპირობებული.

•2019 წლის იანვარ-ივლისში სავაჭრო დეფიციტი შემცირდა 473.3 მლნ. აშშ. დოლარით და 2 861.5 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. იანვარ-ივლისში სავაჭრო დეფიციტმა საგარეო-სავაჭრო ბრუნვის 40.5 პროცენტი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 6.6 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა.

•2019 წლის ივლისში, წინა წელთან შედარებით ექსპორტი მნიშვნელოვნად 17.4 პროცენტით გაიზარდა და მისმა მოცულობამ 326.6 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. ივლისში იმპორტი 4.3 პროცენტით შემცირდა და 762.3 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა. შესაბამისად, ივლისში სავაჭრო დეფიციტი მნიშვნელოვნად 83.0 მლნ. აშშ. დოლარით გაუმჯობესდა და 435.7 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. სავაჭრო დეფიციტმა საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.0 პროცენტი შეადგინა და წინა წლის ივლისთან შედარებით 8.2 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა.

2018 წელს ექსპორტის რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა - 3.4 მილიარდი აშშ. დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 22.7 პროცენტით გაიზარდა. 2016 წლის სექტემბრიდან ექსპორტის სტაბილური ზრდა ფიქსირდება.

საგარეო ვაჭრობა (მლნ. დოლარი)



ექსპორტის ზრდა ძირითადად რეალური ეფექტით იყო გამოწვეული და 2018 წლის მონაცემებით, ექსპორტის რეალურმა ზრდამ 12.7 პროცენტი შეადგინა.

იმპორტი 2018 წელს 15.0 პროცენტით გაიზარდა და 9,136.7 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა. 2018 წლის მონაცემებით, იმპორტის ზრდა ძირითადად ფასისმიერი ეფექტით იყო გამოწვეული.

2018 წელს უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა: მსუბუქი ავტომობილების (75%), სიგარების და სიგარეტების (4-ჯერ მეტად), სპილენძის მადნების და კონცენტრატების (19%), ფეროშენადნობის (15%), ყურძნის ნატურალური ღვინოებისა (15%) და აზოტოვანი სასუქების (20%) ექსპორტი.

## ტურიზმი

ბოლო 6 წლის განმავლობაში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. 2019 წლის იანვარ-ივლისში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 7.0

პროცენტით გაიზარდა და 4 111.9 ათასი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ტურისტული ვიზიტების რაოდენობა გაიზარდა 8.0 პროცენტით და 2 697.6 ათასი შეადგინა.


2019 წლის იანვარ-ივლისში ტურიზმიდან შემოსავლებმა 1 830.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2.1 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

2019 წლის იანვარ-ივლისის მონაცემებით ტურიზმიდან შემოსავლების ყველაზე დიდი წილი 27.7 პროცენტი (507.2 მლნ. აშშ დოლარი) რუსეთის ფედერაციაზე მოდის, შემდეგ მოდის ევროკავშირი 13.5 პროცენტით (247.7 მლნ. აშშ დოლარით), თურქეთი 13.3 პროცენტით (243.4 მლნ. აშშ დოლარით) და აზერბაიჯანი 7.1 პროცენტით (129.2 მლნ. აშშ დოლარი).

2019 წლის ივლისში 13.3%-ით შემცირდა შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან და 374.7 მლნ.აშშ. დოლარი შეადგინა. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების კლებაში ყველაზე მაღალი უარყოფითი წვლილი შეიტანეს რუსეთიდან და ირანიდან შემოსავლების კლებამ. რუსეთიდან შემოსავლები შემცირდა 40.0%-ით -44.3 მლნ. აშშ. დოლარით, ხოლო ირანიდან 69.6%-ით - 24.6 მლნ. აშშ. დოლარით. შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა საუდის არაბეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან და ევროკავშირიდან. საუდის არაბეთიდან შემოსავლები გაიზარდა 36.2%-ით -7.3 მლნ. აშშ. დოლარით, უკრაინიდან 15.3%-ით -3.1 მლნ. აშშ. დოლარით, აზერბაიჯანიდან 10.6%-ით -2.6 მლნ. აშშ. დოლარით და ევროკავშირიდან 4.3%-ით - 2.4 მლნ. აშშ. დოლარით.

2018 წელს ტურიზმიდან შემოსავლებმა რეკორდულ მაჩვენებელს 3.2 მილიარდ აშშ. დოლარს მიაღწია და წინა წელთან შედარებით 19.1 პროცენტით გაიზარდა. ტურიზმიდან შემოსავლების მიხედვით ყველაზე დიდი წილი 26 პროცენტი (841.7 მლნ. აშშ დოლარი) რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა, შემდეგ მას მოსდევს თურქეთი 14 პროცენტით (437.4 მლნ. აშშ დოლარი) და ევროკავშირი 12 პროცენტით (394.1 მლნ. აშშ დოლარით). ვიზიტზე საშუალო დანახარჯის მიხედვით ლიდერობს საუდის არაბეთი 1183 აშშ დოლარით, ისრაელი 1170 აშშ დოლარით, ევროკავშირი 1020 აშშ დოლარითა და უკრაინა 890 აშშ დოლარით.

საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 2018 წელს 11.1 პროცენტით გაიზარდა და 7,203 ათასი შეადგინა, მათ შორის ტურისტების რაოდენობა 16.9 პროცენტით გაიზარდა და 4,757 ათასი შეადგინა.



საერთაშორისო ვიზიტორების ზრდას და ქვეყნის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზრებზე ხელი შეუწყო საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა. მსოფლიოში აღიარებულმა და გავლენიანმა სამოგზაურო გამოცემამ და პლატფორმამ Lonely Planet-მა საქართველო 2018 წლის ათ საუკეთესო მიმართულებას შორის დაასახელა. ბრიტანულმა გამოცემა The Telegraph-მა საქართველო ევროპის ყველაზე საოცარი ქვეყნების,



ბოლო გამოცემა Financial Times-მა ძირითადი ტურისტული მიმართულებების სიაში შეიყვანა. National Geographic-მა საქართველო მსოფლიოში ყველაზე ლამაზ 17 ადგილს შორის დაასახელა.

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაჯანსაღება, თუმცა 2018 წელს ინვესტიციების შემცირება დაფიქსირდა. **2014-2018 წლებში საქართველოში 8 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა.**

2019 წლის პირველ კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 286.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11.6 პროცენტით ნაკლებია 2018 წლის პირველი კვარტალის მონაცემთან შედარებით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება უკავშირდება მაგისტრალური გაზსადენის პროექტის დასრულებასა და რამდენიმე საწარმოს საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში გადასვლას.


2019 წლის პირველ კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 139.8 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 49.7 პროცენტი) კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურების სექტორში დაფიქსირდა. სასტუმროების და რესტორნების სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ 58.6 მლნ. აშშ. დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 20.5%) შეადგინა. საფინანსო სექტორში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 55.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 15.9 პროცენტია.

2018 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1265.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2018 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება უკავშირდება: მაგისტრალური გაზსადენის პროექტის დასრულებას, ვალდებულებების შემცირებას/სასესხო დავალიანების დაფარვას არარეზიდენტი ინვესტორების მიმართ და რამდენიმე საწარმოს ფლობაში არარეზიდენტების წილის შემცირებას და საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში გადასვლას.

2018 წელს დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში ინვესტიციები გაიზარდა 40.6 პროცენტით (40.7 მლნ. აშშ. დოლარით) და 140 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, სამთომომპოვებითი მრეწველობის სექტორში ინვესტიციების მოცულობა 62.2 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა და წინა წელთან შედარებით 20.0 პროცენტით (10.4 მლნ. აშშ. დოლარით) გაიზარდა. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების სექტორში ინვესტიციების მოცულობა 2-ჯერ მეტად გაიზარდა და 14.8 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. მშენებლობის სექტორში ინვესტიციების მცირედი 0.3 პროცენტის (0.4 მლნ. აშშ. დოლარით) ზრდა დაფიქსირდა და 173 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა.

2018 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 270.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 21.4 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობის სექტორი 173 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციით (13.7 პროცენტი), მესამეზე ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორი 163 მლნ. აშშ დოლარით (12.9 პროცენტი, ხოლო მეოთხე ადგილზე დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 140 მლნ. აშშ. დოლარით (11.1 პროცენტი).

ქვეყნების მიხედვით 2018 წელს ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია აზერბაიჯანიდან განხორციელდა (19.5 პროცენტი - 246.4 მლნ. აშშ. დოლარი), შემდეგ მოდის ნიდერლანდები (16.5 პროცენტი - 208.4 მლნ. აშშ. დოლარი) და გაერთიანებული სამეფო (14.1 პროცენტი - 178.8 მლნ. აშშ. დოლარი).




### ფულადი გზავნილები

**2019 წლის იანვარ-ივლისში ფულადი გზავნილების მოცულობა 7.8 პროცენტით (69.7 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა და 960.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.**

2018 წელს ფულადი გზავნილების მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს 1 576.5 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია და წინა წელთან შედარებით 14.3 პროცენტით (197 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა. ამასთან, იზრდება ფულადი გზავნილების დივერსიფიკაციის დონე. 2018 წელს წინა წელთან შედარებით 4.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა რუსეთის წილი ფულადი გზავნილების მოცულობაში. ამასთან, 2018 წელს ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა იტალიიდან, ისრაელიდან და საბერძნეთიდან.

### ფულადი გზავნილები - ცვლილება (%)



## მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

ეკონომიკური ზრდის პარალელურად მცირდება საგარეო მოწყვლადობის დონე და იზრდება მდგრადობა საგარეო შოკების მიმართ.

**2019 წლის პირველ კვარტალში** მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 227.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით შთამბეჭქდავად - 207 მლნ. აშშ. დოლარით (47.7%-ით) გაუმჯობესდა. მშპ-თან მიმართებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 6.2% შეადგინა და წინა წელთან შედარებით 5.7 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა.


მიმდინარე ანგარიშის ყველაზე დიდი კომპონენტს საქონლით ვაჭრობა წარმოადგენს, რომლის უარყოფითი სალდო 2019 წლის პირველ კვარტალში მნიშვნელოვნად 186.1 მლნ. აშშ. დოლარით (18.9 პროცენტით) შემცირდა და 798.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის პირველ კვარტალში მიმდინარე ანგარიშის პირველადი ბალანსი (ბალანსი საინვესტიციო შემოსავლების გამორიცხვით) დადებითი იყო და 48.6 მლნ. აშშ. დოლარი, მშპ-ს 1.3% შეადგინა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მთავარ წყაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს. 2019 წლის პირველ კვარტალში ვალით დაფინანსებული დეფიციტი უარყოფითი იყო.

**2018 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 7.7% შეადგინა და წინა წელთან შედარებით 1.1 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა.** ამასთან აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მესამე კვარტალში პირველად დაფიქსირდა მიმდინარე ანგარიშის პროფიციტი.

მიმდინარე ანგარიშის პირველადი ბალანსი 2018 და 2017 წელსაც, ისევე როგორც 2019 წლის პირველ კვარტალში დადებითი იყო.



## საკრედიტო რეიტინგები

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard & Poor’s“, „Fitch“ და „Moody’s“.

**2019 წლის აპრილში** სარეიტინგო კომპანია „S&P“-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგის პერსპექტივა გააუმჯობესა სტაბილურიდან პოზიტიურის მიმართულებით, ხოლო რეიტინგი უცვლელი დატოვა “BB-“-ზე.

**2019 წლის თებერვალში** სარეიტინგო კომპანია „Fitch“-მა გააუმჯობესა საქართველოს

**სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB“-დან „BB“-მდე, ხოლო პერსპექტივა სტაბილურად შეაფასა.**

სარეიტინგო კომპანია „Fitch“-ის მიერ რეიტინგის გაუმჯობესება წარმოადგენს მნიშვნელოვან პოზიტიურ ფაქტორს, კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს მიმართ საერთაშორისო ინსტიტუტების და ინვესტორების ნდობას და პოზიტიურად აისახება ქვეყნის ბიზნეს გარემოზე.

სარეიტინგო კომპანიის შეფასებით, რეიტინგის გაუმჯობესება განპირობებულია 2018 წლის განმავლობაში სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებით და საგარეო შოკებისადმი მდგრადობის ზრდით. ამასთან, მიმზიდველი საინვესტიციო და ბიზნეს გარემო მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად წარმოადგენს რეიტინგის გაუმჯობესების მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს.

**2017 წლის სექტემბერში Moody's-მა გააუმჯობესა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი Ba3-დან Ba2-მდე.** სარეიტინგო კომპანიის მიერ რეიტინგის გაუმჯობესება და რეიტინგის სტაბილური პერსპექტივა განპირობებულია საქართველოს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებით 2014 წლის შემდგომ რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური შოკების ფონზე, რაც ეკონომიკის მოწყვლადობის შემცირებასა და ინსტიტუციური გარემოს გაძლიერებაზე მიანიშნებს.

## **საბანკო სექტორი**


კომერციული ბანკების მოგებამ 2019 წლის ივნისში 34.0 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემზე 29.1%-ით ნაკლებია. ივნისში მოგების შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო ხარჯების ზრდით, შემოსავლები მხოლოდ მცირედით 0.3%-ით შემცირდა. ივნისში მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვა საპროცენტო ხარჯები და ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით. მოგების შემცირება ასევე დაფიქსირდა იანვარში, თებერვალში, მარტსა და მაისში. იანვარსა და თებერვალში მოგების შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო წმინდა რეზერვების ზრდით, მარტში საპროცენტო ხარჯების ზრდით, კერძოდ ვადიანი დეპოზიტების ხარჯებით, ხოლო მაისში მნიშვნელოვნად გაიზარდა აპარატის შენახვის ხარჯები და საპროცენტო ხარჯები დეპოზიტებზე.

2019 წლის იანვარ-ივნისში შემოსავლები გაიზარდა 6.4%-ით, ხოლო მოგება შემცირდა 12.1 პროცენტით და 360.8 მილიონი ლარი შეადგინა.

კომერციული ბანკების მოგებამ 2018 წელს 914.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 5.2%-ით აღემატება.


2019 წლის ივნისის მდგომარეობით დეპოზიტები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 18.7%-ით. ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების ზრდამ 14.4%, ხოლო უცხოურ ვალუტაში 24.3% შეადგინა.

### წვლილი დეპოზიტების ცვლილებაში



2019 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით სესხები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 24.1%-ით. ეროვნულ ვალუტაში სესხების ზრდამ 20.0%, ხოლო უცხოურ ვალუტაში 27.7% შეადგინა. 2018 წლის მაისიდან შეინიშნება სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპის შენელება. ამასთან, სამომხმარებლო სესხების ზრდა ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების ზრდით არის გამოწვეული, უცხოური ვალუტით გაცემული სამომხმარებლო სესხები კი ბოლო თვეებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება.


### წვლილი სესხების ცვლილებაში



უცხოური ვალუტის სასესხო პორტფელის ზრდა ძირითადად ლარის გაუფასურებით არის გამოწვეული. 2019 წლის ივნისის მდგომარეობით კურსის ეფექტის გარეშე საკრედიტო პორტფელის ზრდამ 13.7% შეადგინა, მათ შორის სესხები ეროვნული ვალუტით გაიზარდა 18.6%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით 10.3%-ით.


2019 წლის ივნისში სესხების ნაკადები გაიზარდა 10.9 პროცენტით. უცხოურ ვალუტაში სესხების მოცულობა 4.1 პროცენტით შემცირდა, ხოლო ლარში სესხები 20.5 პროცენტით გაიზარდა.

## წვლილი სესხების ცვლილებაში (ნაკადები)



2019 წლის ივნისში დაფიქსირდა შინამეურნეობებზე უძრავი ქონების შესაძენად გაცემული სესხების ნაკადების 4.2%-იანი კლება. სესხების მოცულობამ 291.7 მილიონი ლარი შეადგინა. ივნისის თვეში დოლარში გაცემული სესხების მოცულობა შემცირებულია 82.9 პროცენტით, ხოლო ევროში 20.3%-ით. ლარში გაცემული სესხები გაზრდილია 151.8 პროცენტით.

### შინამეურნეობებზე უძრავი ქონების შესაძენად გაცემული სესხები




საბანკო სექტორის მომგებიანობის მაჩვენებლები სტაბილურად მაღალ დონეზეა. 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით აქტივებზე უკუგება 2.1%-ს, ხოლო კაპიტალზე უკუგება 16.2%-ს შეადგენს.

## ლარიზაცია

2019 წლის ივლისის მდგომარეობით (2017 წლის დასაწყისთან შედარებით), დეპოზიტების ლარიზაცია გაიზარდა 29.4%-დან 36.6%-მდე (დოლარიზაცია შემცირდა 70.6%-დან 63.4%-მდე), ხოლო სესხების ლარიზაცია - 34.8%-დან 43.6%-მდე (სესხების დოლარიზაცია შემცირდა 65.2%-დან 56.4%-მდე). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებაა, ფიზიკური პირების სესხების ლარიზაციის ზრდის მიმართულებით, რომელიც 41.6%-დან 54.8%-მდე გაიზარდა (დოლარიზაცია შემცირდა 58.4%-დან 45.2%-მდე). მაის-ივლისში დეპოზიტების დოლარიზაციის ზრდა დაფიქსირდა, რასაც ხელი შეუწყო კურსის გაუფასურებამ,

დეპოზიტების დოლარიზაცია აპრილთან შედარებით 1.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

### დოლარიზაცია




### უმუშევრობის დონე

2018 წელს უმუშევრობის დონე წინა წელთან შედარებით 1.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.7 პროცენტი შეადგინა. უმუშევრობის დონემ ბოლო 15 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია. უმუშევრობის დონე ბოლო 9 წლის განმავლობაში სტაბილურად შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მონაცემებით პირველად დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება თვითდასაქმებულთა რაოდენობას და დაქირავებით დასაქმებულთა წილმა მთლიან დასაქმებაში 50.8 პროცენტი შეადგინა.

1998-2016 წლებში სამუშაო ძალის მაჩვენებლების წყაროს წარმოადგენდა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა. 2017 წელს შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევას გამოეყო სამუშაო ძალის მოდული და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სამუშაო ძალის გამოკვლევა. ამასთან, კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა 2014 წლის აღწერის მონაცემები და ისტორიულ მწკრივებთან ჰარმონიზების მიზნით, გადაიხედა დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები (უმუშევრობის დონე წინა პერიოდის მონაცემებთან შედარებით გაიზარდა, თუმცა შენარჩუნდა შემცირების ტენდენცია).


### უმუშევრობის დონე





## სიღარიბის მაჩვენებლები

2018 წელს აბსოლუტური სიღარიბის დონე, რომელიც გულისხმობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრით წილს, წინა წელთან შედარებით 1.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 20.1 პროცენტი შეადგინა. გენდერულ ჭრილში აღნიშნული ინდიკატორი ქალებში 20.2 პროცენტს, ხოლო მამაკაცებში 20.0 პროცენტს გაუტოლდა. სოფლად სიღარიბის დონე 3.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო ქალაქად 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ბოლო წლებში სიღარიბის დონე შემცირების ტრენდით ხასიათდება, რასაც ხელს უწყობს დასაქმების ზრდა ბიზნეს სექტორში და ასევე რეალური ხელფასების მატება. 2018 წელს სიღარიბის დონე ტრენდულ მაჩვენებელზე ქვემოთაა.



## საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

ბიზნესის კეთების სიმარტივის და საინვესტიციო მიმზიდველობის თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიო მასშტაბით. მსოფლიო ბანკის „Doing Business“ 2019“ წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 2018 წელთან შედარებით 3 ადგილით გაუმჯობესდა და საქართველომ 190 ქვეყანას შორის მე-9 ადგილიდან მე-6 ადგილზე გადაინაცვლა. საქართველო იკავებს პირველ ადგილს იკავებს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. ქვეყანაში მაღალია ეკონომიკური გახსნილობის დონე და უზრუნველყოფილია კაპიტალის, საქონლისა თუ მომსახურების თავისუფალი მოძრაობა. Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით საქართველო მე-16 ადგილზეა მსოფლიოში და ხვდება უმეტესად თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის.

Fraser institute-ის 2018 წლის ანგარიშის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“, მიხედვით საქართველოს მდგომარეობა წინა წელთან შედარებით 2 პოზიციით გაუმჯობესდა და მე-7 ადგილი დაიკავა 162 ქვეყანას შორის. რეიტინგში პოზიციის გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა იქონია მაკროეკონომიკურმა სტაბილურობამ.

მსოფლიო ბანკის და PWC ანგარიშის თანახმად, ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია საგადასახადო ტვირთი. გადასახადის ეფექტური განაკვეთი 9.9%-ს შეადგენს, რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მსოფლიოში და აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო მესამე ადგილს იკავებს მსოფლიოში. დაბალი საგადასახადო ტვირთი სხვა ფაქტორებთან ერთად კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ბიზნესის კეთებას საქართველოში და ზრდის ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას. ამასთანავე, მოგების გადასახადის ახალი რეფორმა, რომელიც 2017 წლის იანვრიდან შევიდა ძალაში, კიდევ უფრო ამცირებს საგადასახადო ტვირთს ბიზნესისთვის.



ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებულ “ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2017-ის“ (Open Budget Survey 2017) შედეგების თანახმად, საქართველომ 82 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის. აღნიშნული პოზიციით, საქართველო მოექცა სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში. საქართველო რეგიონიდან ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ამ კატეგორიაში გადავიდა და რომლის სტანდარტსაც ბოლო კვლევით მხოლოდ 5 ქვეყანა აკმაყოფილებს მსოფლიოში. შესაბამისად, საქართველო იკავებს ადგილს ისეთ ქვეყნებთან ერთად როგორცაა: ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, შვედეთი და ნორვეგია.

აღნიშნული საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შედეგია, მათ შორის, პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა, საშუალო ვადიანი დაგეგმვის გაძლიერება, ანგარიშგების ყოვლისმომცველობის გაზრდა და სხვა.



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მისამართი: 0108 ქ, თბილისი, სანაპიროს ქ. №2

ტელეფონი: +(995 32) 2 99 11 14

ელ.ფოსტა: [vtsintsadze@moesd.gov.ge](mailto:vtsintsadze@moesd.gov.ge);

ელ.ფოსტა: [kchapidze@moesd.gov.ge](mailto:kchapidze@moesd.gov.ge);